გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 142

2024 წლის 13 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ. 66.45.24.045), 1 (ერთი) ოთახის 16.94 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის 2024 წლის 12 ივნისის N 29 წერილის საფუძველზე დადგა საკითხი ქალაქ გორში, სტალინის N16-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე არსებული 1 (ერთი) ოთახის (ფართი 16.94 კვ.მ. საკადასტრო კოდი N 66.45.24.045) სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით, ა(ა)იპის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად, რადგან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ორ წლიან უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა. ა(ა)იპ შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად ახორციელებს სპორტულ საქმიანობას შიდა ქართლის მხარეში, რომელიც ეხება ბავშვთა და მოზარდთა შორის ფეხბურთის პოპულარიზაციას, როგორც ვაჟთა ასევე, გოგონათა შორის. ასევე, ორგანიზაცია აქტიურად არის ჩართული მწვრთნელთა განათლების ტრენინგების ორგანიზებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ა(ა)იპ ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ 218022459) უსასყიდლოდ სარგებლობაში უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქალაქი გორიში, სტალინის გამზ. N16-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე არსებული 1 (ერთი) ოთახი 16.94 კვ.მ. ფართი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ 218022459), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, სტალინის გამზ. N16-ში (ს/კ 66.45.24.045) შენობის მე-3 სართულზე არსებული 1 (ერთი) ოთახი 16.94 კვ.მ. ფართი (იხ. დანართი).

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

III სართულის გეგმა



სართული ფართი: 1197.68 კვ.მ